ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5618436

ნომერი: AR1850832

თარიღი : 16.09.2021

გაცემის თარიღი : 30.09.2021

გაცნობის თარიღი : 30.09.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ ახალაძე პ/ნ 60003006496
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 8 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად

გაცნობებთ შემდეგს:
31/08/2012 წლის № 331989 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა 28/03/2018წლის 3889207ბრძანებით დაფიქსირდა ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 2 (ორი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა" ასევე ახალი საკადასტრო მონაცემები მშენებლობისათვის.
ცვლილებით მოთხოვნილია კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირება "ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 3 (სამი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა" ნაცვლად მითითებული "ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 2 (ორი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა"-ისა.
ვინაიდან არსებული მდგომარეობით, დგინდება რომ შეცვლილია ფუნქციური ზონა, კერძოდ დღვანდელი მდგომარეობით ს.კ 01.72.14.032.599 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სამრეწველო ზონა-1-ში (ს-1), AR1850832 განცხადებით კი ცვლილებით მოთხოვნილია კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირება "ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 3 (სამი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა" ნაცვლად მითითებული "ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 2 (ორი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა"-ისა, განგიმარტავთ, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად ცვლის მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს, შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება, რამეთუ წარმოადგენს ისეთი არსებითი ხასიათის ცვლილებას, რაზეც სამსახურის მიერ მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება, როგორც კონკრეტული მიწის ნაკვეთის განაშენიანების არეალი ასევე ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არის დამტკიცებული.
შესაბამისად საჭიროა სამსახურს მომართოთ მიწის ნაკევთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 15/09/2021 წლის AR1850832 განცხადებით მოთხოვნილი საკითხი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.